საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3378
10/05/2023

3378-21-2-202305101123

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №478 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, წერეთლის ქ. №46-60-ის მიმდებარედ, მდ. რიონზე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების სიახლოვეს არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი, თუმცა, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს 2023 წლის პირველი მაისის №17/1261 კორესპონდენციის თანახმად, საპროექტო არეალი ექცევა აკაკი წერეთლის №42, 44, 48, 50, 52-ში არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ფიზიკური დაცვის არეალებში. საპროექტო მონაკვეთზე მთლიანად ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის: ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას; ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა; გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას; დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი. ამავე კანონის 41-ე მუხლის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სააგენტოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების საკითხის სსიპ კულტურული

მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებამდე, იმსჯელოს სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: ელ. ვერსია.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო